საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამუშაო ძალის მაჩვენებლები
(დასაქმება და უმუშევრობა)

2023

15.05.2024
www.geostat.ge

15.05.2024

სამუშაო ძალის მაჩვენებლები

(დასაქმება და უმუშევრობა)

2023 წელი

2023 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2022 წელთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 16.4 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 2010-2023 წლებში.

დიაგრამა №1

უმუშევრობის დონე საქართველოში

(%)



15.05.2024

2023 წელს სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (სამუშაო ძალის წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში) წინა წელთან შედარებით 1.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 53.3 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დასაქმების დონე 1.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 44.5 პროცენტი შეადგინა. სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში 1.1 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 1.6 პროცენტული პუნქტით. დასაქმების დონე გაზრდილია როგორც ქალაქის ტიპის, ისე სოფლის ტიპის დასახლებებში, შესაბამისად 1.3 და 1.9 პროცენტული პუნქტით და 45.4 პროცენტს და 43.4 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე და დასაქმების დონე 2010-2023 წლებში.

დიაგრამა №2

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე და დასაქმების დონე

(%)



15.05.2024

2023 წელს დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 69.0 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.1 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით 2010-2023 წლებში.

დიაგრამა №3

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით

(%)



15.05.2024

2023 წელს უმუშევრობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში წინა წელთან შედარებით შემცირებულია 0.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 1.1 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით 2010-2023 წლებში.

დიაგრამა №4

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით

(%)



15.05.2024

წინა წელთან შედარებით 2023 წელს უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის, აჭარის და თბილისის რეგიონებში, შესაბამისად 7.7, 6.2 და 2.0 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 2023 წელს, რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №5

უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით

(%)



15.05.2024

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2023 წელს 2022 წელთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში შემცირებულია 0.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 1.0 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით 2010-2023 წლებში.

დიაგრამა №6

უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით

(%)



სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 43.1 პროცენტს, ხოლო კაცებში 65.1 პროცენტს შეადგენდა. წინა წელთან შედარებით სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებში 1.6 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი, ხოლო კაცებში - 1.1 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით 2010-2023 წლებში.

დიაგრამა №7

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით

(%)



15.05.2024

2023 წელს, წინა წელთან შედარებით, დასაქმების დონე გაზრდილია როგორც ქალებში, ასევე კაცებში 1.6 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონე სქესის მიხედვით 2010-2023 წლებში.

დიაგრამა №8

დასაქმების დონე სქესის მიხედვით

(%)



15.05.2024

2023 წელს უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში (44.6 პროცენტი), ხოლო ყველაზე დაბალი ტრადიციულად 65+ ასაკობრივ ჯგუფშია (4.3 პროცენტი), რის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში აქტიურობის დაბალი მაჩვენებელი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2023 წელს.

დიაგრამა №9

უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

(%)



საკონტაქტო პირი:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge